

იამბლიქოსის სწავლება ადამიანის როლზე დემიურგიაში

20 ივნისს საველე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა მორიგი სამეცნიერო კოლოქვიუმი, სადაც მოხსენება „იამბლიქოსის სწავლება ადამიანის როლზე დემიურგიაში“ წაიკითხა ილიას უნივერსიტეტის მაგისტრმა და თსუ-ს დოქტორანტმა დავით ფარცხალაძემ.

იამბლიქოსი (245-325) პლატონური ფილოსოფიის იმ წარმომადგენელთა შორისაა, ვისთვისაც თეურგიული პრაქტიკები დაურღვეველ კავშირში იყო მათ ფილოსოფიურ აზროვნებასა და ცხოვრების წესთან. საგულისხმოა, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე არაერთი კვლევა მიემდგვნა ანტიკურ აზროვნებაში რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების საკითხს, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი იამბლიქოსის, როგორც ფილოსოფოსის და თეურგის მოძღვრებაზე ადამიანის სულის შესახებ, ასევე მისი როლის მნიშვნელოვნებაზე დემიურგიაში. სულის სხეულთან დაკავშირების, განსხეულების პოზიტიური გაგება იამბლიქოსის ფილოსოფიის ერთ-ერთი ამოსავალი პუნქტია, რომელსაც თავისი საფუძველი პლატონის „ტიმეოსში“ მოეპოვება.

თეურგიული პრაქტიკის მიზანია, ადამიანი პირველ რიგში დიალექტიკური აზროვნებით მივიდეს საკუთარი თავის არარად გააზრებამდე, ხოლო შემდეგ სულიერი კათარზისისა და თეურგიულ სიმბოლოებში თანამონაწილეობის საშუალებით შეცვალოს საკუთარი ადამიანური ყოფნა ღვთაებრივით, ეს კი ნიშნავს, რომ თანამონაწილეს მიკრო და მაკროდონეზე კოსმიურ დემიურგიაში. იამბლიქოსი ცალსახად გამიჯნავს ერთმანეთისაგან თეურგიული პრაქტიკის მნიშვნელობას/მიზანს, როგორც ადამიანის ამაღლებას კერძო ინტერესებსა და ეგოისტურ მიდრეკილებებზე, და ჯადოქრობათა იმ ფორმებს, რომლებიც მხოლოდ მასებზე ზეგავლენისა თუ პარტიკულარული ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. იამბლიქოსის მიერ პორფირიოსისადმი მიწერილი საპასუხო წერილი, რომელიც „ეგვიპტური მისტერიების“ სახელითაა ცნობილი, მიზნად ისახავს თეურგიის შესახებ მცდარი წარმოდგენების ფილოსოფიური არგუმენტაციით გაბათილებას და მისი მნიშვნელოვნების ხელახალ გააზრებას.